ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N3

დაბა ქედა 26 მარტი, 2024 წელი.

სხდომა დაიწყო 12:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 12:30 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა ოთარ ხარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
ლევან ვერძაძე - კომისიის წევრი;
მარინა ბარამიძე - კომისიის წევრი;
მერაბ ნაკაშიძე - კომისიის წევრი;
არჩილ გორგილაძე - კომისიის წევრი;
შორენა კარანაძე - კომისიის წევრი;

სხდომას არ ესწრებოდნენ
ჯემალ დავითაძე - კომისიის წევრი;
მინდია არძენაძე- კომისიის წევრი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - ციური ზაქარაძე.
ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლის დირექტორი - ირინე დევაძე.
ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრის დირექტორი - ჯამბულ სურმანიძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა
სარეგისტრაციო ფურცელი

26.03.2024 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	ლევან ვერძაძე	კომისიის წევრი	
3	არჩილ გორგილაძე	კომისიის წევრი	
4	მარინა ბარამიძე	კომისიის წევრი	
5	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის წევრი	
6	ჯემალ დავითაძე	კომისიის წევრი	
7	შორენა კარანაძე	კომისიის წევრი	
8	მინდია არძენაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის წესრიგი:

1. **2023 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.**

მომხსენებელი: ააიპ ქედის კულტურის ცენტრის
დირექტორი ჯამბულ სურმანიძე

2. **2023 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ „ქედის სახელოვნებო სკოლა"-ში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.**

მომხსენებელი: ააიპ ქედის სახელოვნებო სკოლის
დირექტორი ირინე დევაძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2024 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმა

მომხსენებელი: სოციალურ საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე - ოთარი ხარაძე

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2024 წლის 20 თებერვალს საკრებულოში შემოვიდა (განცხადების ნომერი 06/95240513-95 განცხადების თარიღი 20.02.2024) 2023 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია.

ააიპ „ქედის კულტურის ცენტრის" დირექტორმა ჯამბულ სურმანიძემ 2023 წელსა და 2024 წლის 12 თებერვლის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ წარადგინა ინფორმაცია შემდეგნაირად:

1. ძველით ახალი წლისადმი მიძღვნილი საზეიმო გალა-კონცერტი.
2. წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე;
3. დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კვირეული და კონცერტი:
4. დედაენის დღისადმი მიძღვნილი მხატვრული კითხვის კონკურსი;
5. ,,სიმღერაა მთელი ჩემი ქონება" -ხელოვან ნოდარ კახიძის სასცენო მოღვაწეობის 47 და დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღბნილი საიუბილეო საღამო;
6. ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრთან თანამშრომლობითა და მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ქედაში სალოტბარო სკოლის შექმნა-დაფუძნება;
7. წიგნისა და ბიბლიოთეკარის დღისადმი მიძღვნილი კვირეული;
8. ,,მოგნახავ და გაგახარებ"- ფოლკლორული ღონისძიება;
9. საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი;
10. ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი;
11. ბავშვთა საერთასორისო დღისადმი მიძღვნილი კონცერტი;
12. პოეტ გურამ არძენაძის შემოქმედებითი საღამო;

მონაწილეობა მივიღეთ:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ლოტბარებსა და ქორეოგრაფებისათვის გამართულ ტრენინგებში;

2. 9 აპრილისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში;

3. ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებით ჯგუფ „ნანინას“ ინიციატივითა და ორგანიზებით, ქალაქ თბილისში ჩატარებული „ქართველ ქალთა ტრადიციული მუსიკის პირველი ფესტივალი „ნანინა“-გოგონათა ფოლკლორული;

4. ქედის კულტურის ცენტრთან არსებულ გოგონათა ფოლკლორულ ანსამბლ ,,იაგუნდის“ ჩაწერა აჭარის ტელევიზიის გადაცემა ,,ეთნოფორში“;

5. წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრმა უმასპინძლა და მონაწილეობა მიიღო საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ქედის ფილიალის საქველმოქმედო აქციაში,

6. 78 წელი მეორე მსოფლიო ომიდან- ფაშიზმზე გამარჯვების დღე;

7. ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის რიგით მე-14 საერთაშორისო გამოფენა კომპანია,,

8. მგალობელ - მომღერალთა გუნდ ,,დიდგორის“კონცერტი, რომელიც გახლავთ საქართველოს კულტურის,სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსის ,,თვითმოქმედი ფოლკლორული ანსამბლების ხელშეწყობა-ს“ ფარგლებში გამარჯვებული პროექტის ტურნე აჭარაში.

9. ხალხური ცეკვების საერთაშორისო ფესტივალი ,,CARPATI-2023“,ქედის კულტურის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,ბეთლემი“ - რუმინეთის ქალაქი არგესი - 15-21 ივლისი.

10. წისქვილი ჯგუფის მიერ ორგანიზებული ,,ქართული კუთხეების ფესტივალი"და ფესტივალი,,არტ-გენი“-ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი ,,ელესა“;

11. ბაიარ შაჰინ გუნდარიძის მიერ გადაღებული ქედის კლიპის პრეზენტაცია;

12. ელესა/Elesa ევრონიუსის ობიექტივში-ევრონიუსმა საქართველოსთან დაკავშირებულ ნიუსში გადაიღო ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი ,,ელესა“, რომელიც ქართული კულტურის სახე გახდა-აჭარული ღვინის სახლი;

13. ესპანეთის ქალაქ ოურენსში;

14. ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფმა და ქალაქ ოურენსის მერიამ ფესტივალის ქართველი მონაწილეები საპატიო სახელობითი მედლებით დააჯილდოვა

15. მონაწილეობა მელიტონ კუხიანიძის სახელობის ქართული ხალხური სიმღერის ფესტივალში, რომელიც აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ ,,არსიანის" ინიციატივითა და ორგანიზებით (ფესტივალის ჩატარების იდეის ავტორი გიორგი ჭანიშვილი) ჩატარდა ქალაქ ბათუმში.

16. 1 ოქტომბერი-ხანდაზმულთა დღე-ქედის ხანდაზმულთა კლუბ ,,ღირსეული სიბერეს“ შეხვედრა-მილოცვა;

17. აჭარის ტელევიზიის მიერ ქედის მუნიციპალიტეტში არტების ჩაწერა გადაღებაში- ხალხური მთქმელები, მუსიკალური და მრავალშვილანი ოჯახები, რთველი და მეღვინეობა ქედაში;

18. ლიტერატურულ კონკურს ,,პეგასის“ დასკვნითი ტური-კულტურის ცენტრის რეჟისორ ლია მახარაძის, როგორც ჟიური წევრის , დაჯილდოება-ხულო,

19. გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის XVIII საერთაშორისო ფესტივალი;

20. ფესტვალ-კონკურს ,,პეგასის“ გამარჯვებულთა შეხვედრა ტრაპიზონში საქართველოს ელჩთან;

21. ,,მშვიდობის საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსი -გასტროლი თურქეთის ქალაქ ქემერში;

22. მასწავლებლის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;

23. სახალხო დღესასწაული ,,შემოდგომა ქედაში"-ღვინის ფესტივალი;
24. ლიტერატურული საღამო;

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:
ა(ა)იპ „ქედის კულტურის ცენტრის" 2023 წლის მუშაობის შესახებ ინფორმაცია განხილულ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

1. **მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2024 წლის 03 მარტს საკრებულოში შემოვიდა (განცხადების ნომერი N:06/95240741-95; განცხადების თარიღი 14.03.2024) ა(ა)იპ „ქედის სახელოვნებო სკოლა"-ში 2023 წლის განმავლობაში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია;

ა(ა)იპ „ქედის სახელოვნებო სკოლის" დირექტორმა ირინე დევაძეს 2023 წელს გაწეული მუშაობის ინფორმაცია წარადგინა შემდეგნაირად:

სკოლა თავისი არსებობის 56-ე წელს ითვლის. იგი არის სკოლის გარეშე სახელოვნებო სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულება,რომელიც მოსწავლეს აძლევს სახელოვნებო განათლებას და ამზადებს მათ სწავლის გასაგრძელებლად უმაღლეს სასწავლებლებში.

სკოლა შემოიფარგლება სამი ძირითადი, საფორტეპიანო, საორკესტრო და ქორეოგრაფიული განყოფილებით. სკოლაში ფუნქციონირებს გიტარის შემსწავლელი წრე. 2023 წელს სკოლაში დაარსდა ანიმაციური ფილმების სტუდია, სადაც 9 მოსწავლე ეუფლება ანიმაციური ფილმების დამზადების ხელოვნებას.

ზემოთ აღნიშნულ განყოფილებებზე სულ სწავლობს 234 მოსწავლე, აქედან:
საფორტეპიანოზე 71
საორკესტრო 25
ქორეოგრაფია სულ 117, გოგონა 64 ბიჭი 53
გიტარა 12
ანიმაციის სტუდია 9

სახელოვნებო სკოლას ჰყავს რამდენიმე ფოლკლორული ანსამბლი ესენია ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,საუნჯე", ფოლკლორულ ინსტრუმენტული ანსამბლი ,,იასამანი" და ,,ჩანგი" რომლებიც არაერთხელ დაჯილდოვდნენ დიპლომებით, სიგელებით, ოქროს მედლებითა და ლაურეატის წოდებით კონკურსებსა თუ ფესტივალებში მონაწილეობისათვის.

ანსამბლი ,,ჩანგი" მრავალი ფესტივალებისა და კონკურსების გამარჯვებულია. ანსამლს მოპოვებული აქვს გასულ წლებში ოქროს მედლები, გრამპრი და პირველი ხარისხის დიპლომები. მოგეხსენებათ ანსამბლი ძირითადად მუშაობს ქართული ფოლკლორის მიმართულებით, განსაკუთრებით ძირძველი ქედური სასიმღერო რეპერტუარით შემოიფარგლება. ანსამბლი არაერთხელ იმყოფებოდა საგასტროლოდ თურქეთში, ბულგარეთისა და აზეირბარჯანის რესპუბლიკებში. 2023 წელს ანსამბლმა ,,ჩანგმა" აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მიერ ორგანიზებულ ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადაზე მოიპოვა მეორე ადგილი, ფულადი ჯილდო და ხალხური მუსიკალური საკრავი ,,ფანდური". ასევე ქ. მცხეთაში გამართულ საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსში

,,მომავალი ჩვენია“ მოიპოვა დიპლომი წარმატებული მონაწილეობისათვის, ხოლო 26 ნოემბერს ქ. თბილისში არტ ჰოლში ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით გამართულ საერტასორისო საბავშვო და ახალგაზრდულ ფოლკლორულ ფესტივალში ,,მომავალი ჩვენია '' ანსამბლი დაჯილდოვდა წარმატებული გამოსვლისათვის ოქროს თასითა და ლაურეატის წოდებით და პირველი ხარისხის დიპლომებით. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში 2024 წლისათვის მიწვეული იქნა ბულგარეთის რესპუბლიკის ქალაქ ნესებრში მსოფლიოს ბავშვთა ფოლკლორის ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად. ასევე ანსამბლის ხელმძღვანელი ნაზი სურმანიძე დაჯილდოვებული იქნა ,,ხელოვნების ბრწყინვალების ორდენით'' ქართული ფოლკლორული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ხანგრძლივი პრაქტიკული მოღვაწეობისათვის. აქედან გამომდინარე სახელოვნებო სკოლის პედაგოგი ნაზი სურმანიძე რომელსაც კულტურის სფეროში მუშაობის თიტქმის 50 წლიანი გამოცდილებისა და მრავალი მიღწეული წარმატებებისა სკოლის დირექციამ და პედაგოგიურმა კოლექტივმა ერთხმადხად დაუჭირეს მხარი „საპატიო ქედელის“ წარსდგენის ინიციატივას და დირექციის თხოვნით მერიას წარედგინა დოკუმენტი მისი საპატიო ქედელი წოდების შესახებ, რომელიც დაკმაყოფილდა და მადლობას ვუხდით ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერიას მხარდაჭერისათვის.

ქორეოფრაფიული ანსამბლი ,,საუნჯე“ 2023 წლის 2-7 თებერვალს საგასტროლოდ ბაკურიანში იმყოფებოდა ბავშვთა საერთასორისო ფესტივალ ,,ბორჯომ-ბაკურიანი 2023'' მონაწილეობის მისაღებათ, სადაც წარმატებული მონაწილეობისათვის გადაეცათ დიპლომები.

2023 წლის 13-18 ნოემბერს ქ. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი ,,თოფუზი 2023“ ჩატარდა, რომელშიც ჩვენი სკოლის ანიმაციის სტუდიის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა სადაც შესაძლებლობა მიეცათ ენახათ ანიმაციური სტუდიის მოსწავლეთა დამზადებული ანიმაციური ფილმები, ვორგშოპები, ასევე გაეცნენ და დაეუფლენ ახალ ვიარ ტექნოლოგიებს. ფესტივალში მონაწილეობას ღებულობდნენ უცხო ქვეყნების ასისტენტ ანიმატორები, რომლებიც მონაწილეებს უტარებდნენ მასტერკლასებს ვიარტექნოლოგიის სწორად გამოყენების შეაძლებლობებზე.

მიმდინარეობს სახელოვნებო განათლების რეფორმა, რომელიც მოიაზრებს ინკლუზიურ სფეროსაც. სასიხარულოა ის გარემოება, რომ ამ მნიშვნელოვან პროცესში ჩვენმა სკოლამ მცირე წვლილი შეიტანა გამოცდილების გაზიარებით. საქართველოს კულტურის კომიტეტის 5 დეკემბერის სხდომაზე რომელსაც ხელმძღვალობს ქალბატონი ელისო ბოლქვაძე,ჩვენ მოგვეცა შესაზლებლობა პირდაპირი ჩართვით წარმოგვედგინა ჩვენი მოსაზრებები ამ მიმართულებით.

სახელოვნებო სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილებენ, როგორც მუნიციპალიტეტში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. წლის განმავლობაში ჩატარდა სკოლის ღია და დახურული კონცერტები, პედაგოგთა კლასის და საანგარიშო კონცერტები.

2023 წელში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები

1.ბორჯომი-ბაკურიანი-საერთაშორისო ფესტივალი - ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,საუნჯე''

2. ქ.ბათუმი-სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადა-ანსამბლი ,,საუნჯე'',ანსამბლი ,,ჩანგი'

3. ქედა-26 მაისი დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილ კოცერტში მონაწილება - ანსამბლი ,,ჩანგი'',ანსამბლი ,,საუნჯე'',ვოკალურ ინდივიდუალური შემსრულებლები

4. ქედის სახელოვნებო სკოლა-საფორტეპიანო განყოფილების პედაგოგ სალომე ხაბაზის კლასის კონცერტი.

5. ქ.ბათუმი სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი-ოლიმპიადაში გამარჯვებულთა დაჯილდოება -ანსამბლი ,,ჩანგი''(დაჯილდოება)

6. ქედა- 1 ივნისი-(ბავსვთა დაცვის დღე) -სახელოვნებო სკოლის ქორეოგრაფიული,ფოლკლორული ანსამბლების,ინდივიდუალური შემსრულებლების,საფორტეპიანო, საორკესტრო და სიმებიანი (ფანდური,გიტარა)კონცერტი.

7.ქედა-სახელოვნებო სკოლა -პედაგოგ ლამზირა ქაჯაიას კლასის კონცერტი.

8.ქედა-სახელოვნებო სკოლა -პედაგოგ ნონა ჭყონიას კლასის კონცერტი

9.ქედა-კულტურის ცენტრი-15 ივნისი სახელოვნებო სკოლის დასკვნითი კონცერტი

10.ქ.მცხეთა-საერთაშორისო ფესტივალი მომავალი ჩვენია-ანსამბლი ,,ჩანგი''

11.ქედა.სოფ.გეგელიძეები-ანიმაციური ფილმების საბავშვო ფესტივალი-სახელოვნებო სკოლის ანიმაციის სტუდიის მოსწავლეები

12.ქ.ბათუმი,სახელმწიფო ხელოვნების უნივერსიტეტი-ანიმაციური ფილმების საერტასორისო ფესტივალი ,,თოფუზი'',მონაწილეობა სახელოვნებო სკოლის ანიმაციის სტუდიის მოსწავლეები

13.ქედა,სახალხო ზეიმი ,,შემოდგომა ქედაში''-მონაწილეობის მიღება ანსამბლი ,,ჩანგი,ანსამბლი ,,საუნჯე'',ინდივიდუალური შემსრულებლები

14.ქ.ბათუმი-აჭარის რადიო მაუწყებელი-ინტერვიუ ღია ეთერში სახელოვნებო სკოლის დირექტორთან,კულტურის სამსახურის ხელმძღვანელთან და ანიმაციის სტუდიის მოსწავლეთა ინტერვიუ

15.ქ.თბილისი-საერთასორისო ფოლკლორის ფესტივალი ,,მომავალი ჩვენია''ანსამბლი ,,ჩანგი''

16.ქედა-სახელოვნებო სკოლა 26 დეკემბერი პედაგოგ სალომე ხაბაზის კლასის კონცერტი

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:
ა(ა)იპ „ქედის სახელოვნებო სკოლის“ 2023 წლის მუშაობის შესახებ ინფორმაცია განხილულ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

2. **მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2024 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმა შემდეგი სახით:

	განსახილველი საკითხები და გასატარებელი ღონისძიებები	**განხილვის თარიღი**	**საკითხის განხილვა კომისიის სხდომაზე**	**საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე**	**პასუხისმგებელი პირი საკითხის მომზადებაზე**
	2023 წლის მდგომარეობით ააიპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-	აპრილი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	ააიპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ს დირექტორი

	ში არსებული ინფორმაციის მოსმენა - განხილვა				
	მერიის ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2023 წლის ანგარიშის მოსმენა - განხილვა	მაისი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი
	2023 წლის მდგომარეობით შპს რაგბის კლუბი ''ფირალები''-ში არსებული ინფორმაციის მოსმენა - განხილვა	ივნისი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	შ.პ.ს. „საფეხბურთო კლუბი"-ს დირექტორი
	კომისიის მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენა	ივნისი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:
დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2024 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმა წარმოდგენილი სახით.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 12:30 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე **ოთარ ხარაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **ციური ზაქარაძე**
კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში